

120 მდნ. დარი იხარჯება გარემოს დაბინძურებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობაზე



გარემოს დაბინძურებებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობაზე 2016 წელს სახელმწიფომ ბიუჯეტიდან 120 050 566 დარი გამოყო. შესაბამისი ანგარიში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოაქვეყნა.

ანგარიშიში ჩამოთვრილია მავნე ნივთიერებებით გამოწვეული დაავადებები: ასთმა, ბრონქებისა და ფილტვების დაავადებები, ინტოქსიკაცია, თვარების წვა, სისხლმბადი ორგანოების დაავადებები (ღიმფომა, დეიკემია), ფილტვების კიბო და სხვა. ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოში არ არის დამტკიცებული გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა NEAP-3 და „საქართველოში ღღეისათვის ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მაჩვენებლების მოქმედი ნორმები ეფუძნება საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწესებულ სახელმწიფო სტანდარტებს, ე.წ. „გოსტებს“, რაც ხელს უშლის საერთაშორისო სტანდარტებთან შესადარისობას“.

ანგარიშიში მოყვანილია გარემოს დაცვის სამინისტროს მონაცემები, რომლის თანახმად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების უდიდესი წილი სატრანსპორტო სექტორზე მოდის. მათ მოსდევს მრეწველობა (მეტალურგიული კომბინატები, ქიმიური მრეწველობის თბიქტები, ცემენტის ქარხნები, ფროშენადნობთა ქარხანა და სხვ.); მშენებლობა (ძველი შენობების დემონტაჟი, მშენებლობის ნორმების დაუცველობა,

ბადეების გამოყენების უზურებერყოფა); ენერგეტიკური სექტორი (თბოსადგურების მოხმარებისთვის გამოყენებული მყარი და თხევადი საწვავი, ნავთობისა და გაზის მოპოვება და სხვ.); სოფლის მეურნეობა (შხამ-ქიმიკატების მოხმარება); გადამამუშავებელი მრეწველობა (მყარი ნარჩენების გადამამუშავება).

დასკვნის თანახმად, ათი და მეტი წიგვანების ავტომონიტრების უმრავლესობა ტექნიკურად გაუმართავია და მათში, სავარაუდოდ, ან არ არსებობს, ან მწყობრიდანაა გამოსული კატარიზური გარდამქმნელი, რომელიც ხერს უწყობს შიდა წვის პროცესის დასრულებას და გამონახორქვი აირების ტოქსიკურობის შემცირებას.

პარდამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის, კახა კუჭავას განცახდებით, კომიტეტი თბილისში ჰაერის დაბინძურების პრობლემის მოგვარებაზე იწყებს მუშაობას, შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს და დადებს დასკვნას, თუ რა უნდა გაკეთდეს, როგორც მერიის, ისე სხვადასხვა უწყებების მხრიდან პრობლემის აღმოსახვზრედად.